№ 131

სამშაბათი, 19 ივნისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.



№ 131

სამშაბათი, 19 ივნისი, 1901 წ.



რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.



„ივერიის“ ტელეფონი № 227.



**საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე**

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჰურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება**

**სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“

(100—43—48)


**„ივერიის“ რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.


ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

**გამგეობისაგან**

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადთა ალექსანდრე, ივანე და მიხეილ გიორგის ძეთა ბებურო-ვაჩნაძეების მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად ხუთასის (500) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელს უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადთ ბებურო-ვაჩნაძეთა, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—6.—3)

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 10 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, რომელიც ქალაქ ფოთის მე-67 კვარტალში მდებარეობს № 631, ზომით ას ოცდაათი ოთხ-კუთხი საჟენი, სიგრძით—გაგარინის ქუჩაზედ—ხუთი საჟენი, ხოლო სიგანით—26 საჟენი; საზღვრები: აღმოსავლეთით—გაგარინის ქუჩა, დასავლეთით—ბოტენკოს ადგილი, სამხრეთით—ვ. წილოსანის ადგილი და ჩრდილოეთით—ს. იმედაიშვილის ადგილი. (3—6.—3)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (გოროხოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**გ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მუღანი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. გ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

**გ. დ. მარკევიჩი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეკთაბეკოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**ბ. ბ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.


## ფელეტონი

**რას ეძახიან იმმუნიტეტს მედიცინაში?**

სიცოცხლე სიკვდილთან ბრძოლააო, სთქვა მეცნიერმა Bichot-მა. მართლაც-და, ყველა ცოცხალი სულიერი არსება მუდმივს სასტიკს ბრძოლაშია გარემო ბუნებასთან; ყოველი არსება ქვეყნად გარშემორტყმულია მტრებით, ყოველს წამს განსაცდელი მოელის, მაგრამ, თუ სულიერი არსება ცოცხალია კიდევ, ეს იმის წყალობით, რომ იგი შვენივრად არის შეიარაღებული ყველა თავისს ძლიერ და უთვალავ მტერთა წინააღმდეგ საბრძოლად.

ამავე მდგომარეობაშია ადამიანიც. ყველაზედ უფრო საშიში და მავნე მტერი ადამიანისათვის მიკრობებია, რომლებზედაც არა ერთხელა გვქონია ბაასი მკითხველთან; დღეს-კი გვსურს აღვნიშნოთ ის საშუალებანი, რომლის წყალობითაც ადამიანის სხეული მიკრობებს ებრძვის და მათ მიერ გამონადენ შხამისაგან თავს იფარავს.

ამ ბოლო დრომდის მეცნიერებანი თითქმის ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანი ავადა ხდება რომელისამე გადამდებ სენით მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს სხეულში გარედგან მიკრობი შედის და თავისის შხამით სისხლს უწამლავს. ეხლა-კი აღმოჩნდა, რომ ყოველის ჯან-მრთელი ადამიანის შიდა ორგანოებში მრავალია სხვა-და-სხვა მიკრობები, მაგრამ უვნებელნი არიან სხეულისათვის იმ დრომდის, ვიდრე ამათს შხამს სხვა-და-სხვა გარემოებანი ხელს არ შეუწყობენ, რომ გაძლიერდეს.

ეს აზრი რომ უფრო გასაგები გახდეს ყველასათვის, მოვიყვან შემდეგ მეცნიერულ გამოკვლევათ ამის შესახებ: როდესაც მეცნიერმა Escherich-მა საღი ადამიანის წელებში ერთგვარი ბაცილლა აღმოაჩინა, რომელსაც ლათინურად Bacterium coli commune ჰქვიან, იგი ადამიანის სხეულისათვის ჩასთვალა სრულებით უვნებელ მიკრობათ; და ან-კი როგორ არ უნდა ჩაეთვალა უვნებლათ, როდესაც ვერც ერთს საღს ადამიანს ვერ იპოვნით, რომ მისს წელებში ეს ბაცილლა არ იყოს.

სხვათა მეცნიერთა გამოკვლევებიდგან სჩანს კიდევ, რომ საზოგადოდ Bacterium coli commune 70 სხვა-და-სხვა, ერთი-მეორეს მზგავსს ბაქტერიებსა ჰქვიან, რომლებიც განსაკუთრებით ადამიანის წელების ბოლო ნაწილში იმყოფებიან.

მაგრამ როგორც ახლა დამტკიცდა, ეს ბაცილები—Bacterium coli commune—ძლიერ ხშირად მძიმე ავადმყოფობას თურმე იწვევენ და თავისის გამონადენი შხამით ადამიანის სისხლსა სწამლავენ. ასე რომ მეცნიერის Escherich-ის აზრი გაცრუვდა.

აი სწორედ ამ საგნის შესახებ სახელოვანმა მეცნიერმა ილია მეჩნიკოვმა პარიჟში პირველ აპრილს ლექცია წაიკითხა, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ადამიანის სიცოცხლის ხან-მოკლეობა და უდროო სიბერე ამ ზემოხსენებულის მიკრობებით უნდა იყოს გამოწვეული ადამიანის წელების ქვემო ნაწილებში. ასს დაბადებულში, მეცნიერის აზრით, მეოთხედიც ვერ აღწევს პირველ წლამდის, ათასიდგან მხოლოდ 67 სცოცხლობს ორმოც-და-ათ წლამდის, ასი ათასიდგან ერთს ადამიანს ძლივს იპოვნით, რომელსაც ოთხმოც-და-ათ წლამდე მიეღწიოსო. მეჩნიკოვის აზრით, ცხოველნი, რომლებსაც ადამიანსავით ძლიერ გრძელი წელები არა აქვთ და მასთან არა აქვთ ადამიანის წელების ბოლო ნაწილის მზგავსი რამ, სადაც მრავალი მიკრობი ბუდობს, ძლიერ დიდ-ხანსა სცოცხლობენ. მეჩნიკოვი დარწმუნებულია, რომ ამ მეოცე საუკუნეში ისეთი რამ ღონისძიება იქნება უთუოდ მიღებული, რომელიც ადამიანს ამ წელების ბაქტერიებიდგან სრულებით გაანთავისუფლებს; შესაძლოა ამ საქმეში ქირურგია დაგვეხმაროს და მისის წყალობით ადამიანს ამოეჭრას წელების ის ბოლო ნაწილი, რომელიც ამ მავნე მიკრობებით ასე მდიდარია. მით უფრო, რომ ჩვენი წელების ეს ბოლო ნაწილი სრულებით მეტია და ადამიანის სხეულში მისი დარჩენა მხოლოდ მემკვიდრეობით უნდა აიხსნას: ჩვენის წინაპარ-ცხოველებისათვის იგი უეჭველად გამოსადეგი იყო, მაგრამ ახლა ჩვენთვის საჭმლის მონელებაში სრულიად უმნიშვნელოა და ვნების მეტს არას იძლევაო. იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაც შეიძლება წელების ეს ნაწილი სხეულს უვნებლად ამოეჭრას, მეჩნიკოვი ასახელებს ოთხს კაცს, რომლებიც დღეს სრულიად ჯან-საღნი არიან, თუმცა მათ მთელი კუჭი ამოჭრილი აქვთ და მარტო წელები-ღა აქვთ დარჩენილი.

წინად ფიქრობდნენ, ფილტვების ანთება გაციებისაგან წარმოსდგებაო, შემდეგ-კი, როდესაც Fraencel-მა ანთებიან ავადმყოფის ნახველში მიკრობი—დიპლოკოკკი—აღმოაჩინა, ყველანი დარწმუნდნენ, რომ ეს მიკრობია უმთავრესი მიზეზი ფილტვების ანთებისა, თუ რომ ადამიანმა ჰაერთან ერთად ისუნთქა ამ მიკრობით. მაგრამ მეცნიერმა Dürck-მა გამოიკვლია ეს კითხვა და აღმოაჩინა, რომ Fraencel-ის მიერ აღმოჩენილი მიკრობი ხშირად ჯანმრთელი ადამანის სასულესა და ფილტვებშიაც არის ხოლმე; მაშასადამე ჯერ-ჯერობით ადამიანის სხეულისათვის უვნებელია.

როგორცა ჰხედავთ, ფილტვებსა და წელებს შუა სრული მსგავსება. მართალია, ამ ორგანოებში შხამიანი მიკრობები მუდამ მოიძებნება, მაგრამ ადამიანის სხეულს აქვს ძალა და შესაფერი საშუალება ამათ საწინააღმდეგოდ. ყოველს ორგანოს აქვს თავისი საკუთარი საბრძოლველი საშუალება—იარაღი—უჯრედებიდგან გამონადენი სითხე, რომელიც მიკრობების შხამს ასუსტებს.

ზოგიერთი ცუდი გარემოებანი მიკრობების შხამის გაძლიერებას ხელს ძლიერ უწყობენ, მაგალითად, მძიმე და მოუნელებელი საჭმელი წელებისათვის, გაციება და მტვრიანი უსუფთაო ჰაერის სუნთქვა ფილტვებისათვის და სხვა.

დიდის მოარულის დროს ავადა ხდება მხოლოდ მცირე ნაწილი მცხოვრებთა, დანარჩენნი-კი უვნებელნი რჩებიან; ასრე ხდება იმიტომ-კი არა, ვითომ უმრავლესობა შემთხვევით ასცდა ამ სენის შხამს, არამედ იმიტომ, რომ ბუნებრივმა ძალამ სხეულისამ წინააღმდეგობა გაუწია შხამს და სძლია იგი.

ამიტომაც დღეს მედიცინას აზრადა აქვს: ან ბრძოლა იმ მიკრობების წინააღმდეგ, რომლების წყალობითაც სხვა-და-სხვა სენის შხამი ჩნდება, ან-და გაძლიერება სხეულის ბუნებრივ საწინააღმდეგო ძალისა. პირველის შესრულება ძნელია და ხანაც ყოვლად შეუძლებელი, რადგანაც გადამდებ სენთა უმეტესობის გამომწვეველი მიკრობები ჯერაც არ არის აღმოჩენილი; მაშასადამე, დაგვრჩენია-ღა მეორე საშუალება. ამ მიზნის განხორციელება რომ შესაძლოა, ეს შემდეგი მაგალითიდგანაც სჩანს: აცრის წყალობით იმდენად გავაძლიერეთ ადამიანის სხეულში იმმუნიტეტი—მიუდრეკელობა—ყვავილის შხამის შესახებ, რომ ოდესღაც ესოდენ საშინელი სენი, რომლის მსხვერპლათაც თვით მეფენი ხდებოდნენ, დღეს თითქმის უვნებელია.

ძველადვე იყო შენიშნული, რომ ადამიანთა შორის ზოგი უფრო ადვილად იწამლება რომელისამე სენის შხამით და ავადა ხდება, ზოგი-კი

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

# პირველი კერძო სამკურნალო
## ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჩ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გმელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**სალამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

**ბ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არღანიტაკი.** 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: კოლეჟსკი სეკრეტრობა ტფილისის სახაზინო პალატის შტატს გარეშე მოხელეს ისარლიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა—გორის მაზრის ხაზინის ბუღალტერს თავ. თაქთაქიშვილს; პალატის კანცელარიის მოხელეთ: თავ. ჯავახიშვილს, თავ. სიდომონოვს და ანდრონიკაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა პალატის ბუღალტერის თანაშემწეს კერესელიძეს.

# ახალი ამბავი

*** უმაღლესს მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს სახალხო სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის საემერიტო კასსის დაარსების შესახებ.

*** ხუთშაბათს, 21 ივნისს, ქუთაისის გუბერნიაში მიდის ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის სესსია, რომელმაც იქ რამდენიმე საქმე უნდა განიხილოს. სხვათა შორის სესია განიხილავს მაზრის უფროსად ნამყოფის ალშიბაიას საქმეს, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა ჰბრალდება.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქს შუამდგომლობა აღუძრავს საერობო თანხიდგან 85,779 მანეთის გადადების შესახებ ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა შესანახად. ამ ფულიდგან მოხმარდება: სოფლის ნორმალურ სკოლებს 60,500 მან., ახალქალაქისა და ახალციხის საქალაქო და ქვემო-მაჩხაანის სოფლის სასწავლებელთა სახელოსნო კლასებს—3000 მან., განჯის საპროფესიონალო სასწავლებელს—3,000 მან., ზაქათალის სახელოსნო სასწავლებელს—6,581 მან., სოფლის ნორმალურ სკოლებისათვის შენობათა დაქირავებას, განათება-გათბობას და მოსამსახურეს—12,698 მან.

*** დღეს, 19 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში განსახილველად დანიშნულია საქმე ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა ბ-ნ ყორღანოვისა და ალიბეგოვისა, რომელნიც ბელგიის უსახელო საზოგადოებას 200,000 მანეთს ედავებიან პირობის შეუსრულებლობისათვის.

*** გუშინ წინ, 17 ივნისს, ა. ი. სავანელის ოჯახიდგან სიონის საკრებულო ტაძარში გადაასვენა ტფილისის სამღვდელოებამ ღვთის მშობლის ხატი, რომელიც სავანელის წინაპარს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს ნანგრევებში უნახავს. ხატი ჯერ წმ. გიორგის ეკკლესიაში მიასვენეს, სადაც მიბრძანდნენ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე და გორის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო კირიონი, რომელთაც, სამღვდელოებასთან ერთად, გარდაიხადეს მცირე ლოცვა; შემდეგ სიონის საკრებულო ტაძრისაკენ გაემართნენ. წინ პროცესსიას მგალობელთა ორი გუნდი მიუძღოდა რუსული საექსარხოსო და ქართული—კარგარეთელისა; შემდეგ ორი არქიმანდრიტი ღვთის მშობლის ხატს მიასვენებდნენ. სიონის ტაძარში გარდახდილ იქმნა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესა და ეპისკოპოსის კირიონის მიერ წირვა ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით; წირვის შემდეგ გარდაიხადეს სამადლობელი პარაკლისი და ძვირფასად შემკული ღვთის მშობლის ხატი ჩაასვენეს ნიგვზის ხისაგან გაკეთებულ ჩუქურთმიან კიოსკში. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო ხატის გადასვენებას.

*** ტფილისის მეთევზეებს მთავარ-მართებლის წინაშე უთხოვნიათ, რომ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულება მტკვარში თევზაობის აღკრძალვის შესახებ გაუქმებულ იქმნას. მეთევზენი ამბობენ, რომ თევზაობა აღკრძალული უნდა იქმნას მხოლოდ აღმოსავლეთ კავკასიაში და არა ტფილისში, სადაც მეთევზეობა ცხოვრების სახსარია ღარიბ მცხოვრებთათვისაო.

*** ამ წლის 1 მაისისათვის ქუთაისის გუბერნიაში დარჩენილი დამატებითი სამრეწველო გარდასახადი ითვლებოდა სულ 47,896 მან. 12 კაპ. აქედგან ქუთაისის მაზრაში ქალაქ ქუთაისითურთ—13,602 მან. 72 კაპ., შორაპნისა—2,746 მან. 35 კაპ., სენაკისა—6,643 მან. 43 კაპ., ზუგდიდისა—2,805 მან. 35 კაპ., ოზურგეთისა ქალაქ ფოთითურთ—7,065 მან. 46 კაპ., რაჭის—741 მან. 77 კაპ., ლეჩხუმის მაზრაში—293 მან. 52 კაპ., ბათუმის ოლქში ქალაქ ბათუმითურთ—12,851 მან. 98 კაპ., სოხუმის—981 მან. 29 კაპ. და ართვინის ოლქში ქალაქ ართვინითურთ—163 მან. 55 კაპ.

*** ოთხშაბათს, 20 ივნისს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტს სხდომა ექმნება, რომელზედაც აირჩევს საექსპერტო კომისიის წევრებს. ამას გარდა კომისია რამდენსამე სხვა საქმესაც განიხილავს.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს თელავიდგან სწერენ, 7 ივნისს სოფელ აკურასა, ვაჩნაძიანსა, კალაურსა და შაშიანში დიდი სეტყვა მოსულა და მრავალი ვენახი გაუფუჭებია. 12 ივნისს სეტყვას დაუზიანებია სოფლები თოხნიანი, ფაშაანი, ძეგამი, შილდა, ყვარელი, კონდოლი და კურდღელაური.

*** როგორც „კვალს“ ჭიათურიდგან სწერენ, ბერლინში დაარსებულა სინდიკატი, რომელსაც მოუნდომებია ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა შეუერთდეს. ამის შესახებ მიწერ-მოწერაა თურმე გამართული.

*** 14 ივნისს, ახალქალაქის მაზრის სოფელ ვაჩიანში სამინელი ნიაღვარი და სეტყვა მოსულა. ნიაღვარს წაუღია 47 სახლი, დაღუპულა ერთი დედაკაცი, ბავშვი, მრავალი საქონელი და სოფლელთა ქონება. ზარალი 20,000 მანეთს უდრის. მოსავალი სეტყვას გაუნადგურებია.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის წლიურის ანგარიშიდგან სჩანს, რომ 1900 წელს ტფილისში ყოფილა სულ 6,699 ხელოსანი, 6,613 მათი თანაშემწე და 6,630 ხელოსნის შაგირდი.

*** ტფილისში, გუნიბის ქუჩაზედ, სცხოვრობს თურმე ამ ჟამად 108 წლის მოხუცი იოსებ ამილახვარი.

---

უფრო ძნელად ემორჩილება და სრულებით უვნებელი რჩება.

ყველა ჰხედავს აგრეთვე, რომ მკურნალები და სხვანი, რომლებსაც მოვალეობათა აქვთ სხვა-და-სხვა გვარ გადამდებ-სენიან ავადმყოფებს მოუარონ, ძლიერ იშვიათადა ხდებიან ავად. 1894 და 1895 წლებში, ხოლერობის დროს, რუსეთში რამდენისამე ათას მკურნალისაგან მხოლოდ ოთხი-ხუთი კაცი იმსხვერპლა ხოლერამ. შენიშნულია, რომ ზოგიერთა ცხოველთა შორის, რომლებიც ერთსა და იმავე გვარს ეკუთვნიან, ამა თუ იმ სენისადმი მიდრეკილებაში დიდი სხვა-და-სხვაობაა: მაგალითად, თაგვი ძლიერ ადვილად იწამლება ციმბირის ჭირის ბაცილლების შხამით, ვირ-თაგვა-კი სრულებით უგრძნობელია.

იმის გარდა, რომ ადამიანს, ან სხვა რომელსამე ცხოველს ბუნებით თან დაჰყვება მიუდრეკლობა—იმმუნიტეტი—ზოგიერთა გადამდებ სენის შხამისა, ამ გვარი იმმუნიტეტი შეიძლება სხეულმა შემდეგაც შეიძინოს. მაშასადამე, ყოფილა ორგვარი იმმუნიტეტი—ბუნებრივი (თან დაყოლილი) და შემდეგ შეძენილი.

ის, ვინც ერთხელ გამხდარა ავად რომელისამე გადამდები სენით და მორჩენილა, ანუ როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე—მოუხდია ეს სენი—ამ სენით მეორედ ავად გახდომისაგან თავისუფალია ან სრულებით, ან-და რამოდენისამე ხნით. დედები ხშირად თავიანთს ბავშვებს წითელიანსა და ქუნთრუშიანს ავადმყოფებს არ არიდებენ, რომ ამით საშუალება მისცენ ამ ავადმყოფობათა მოხდისა.

მე-XVIII საუკუნეში, როდესაც ჯერ შემოღებული არ იყო ჯენერის მიერ გამოგონილი აცრა, ყვავილიან ავადმყოფის ჩირქი სალ ადამიანზედ გადაჰქონდათ და ამ გვარად შეჰყრიდნენ ხოლმე ყვავილს; რასაკვირველია ამ დროს ისეთი ავადმყოფის ჩირქსა რჩეობდნენ, რომელიც უფრო სუბუქად ხდილობდა; მაშასადამე, უფრო სუსტი შხამით იყო მოწამლული. აი, ამ საშუალებით შეიძლებოდა ხოლმე ყვავილის მოხდა, თუმცა ბევრიც იხოცებოდა; ასე რომ ეს საშუალება უვარგისი გამოდგა. მეცნიერის ჯენერის დიდი ღვაწლი იმაშია, რომ მან თავისის აცრით აგვაცდინა განსაცდელი ყვავილის ნამდვილი შხამის აცრისა და შემოიღო აცრა ძროხის ყვავილით, რომელიც იგივე ნამდვილი ადამიანის ყვავილის შხამია, მხოლოდ ძროხის სხეულში გადატანით ძლიერ დასუსტებული. მაშასადამე, ამ გვარად დასუსტებული შხამი ადამიანს ყვავილისადმი იმმუნიტეტსა სძენს, ამ რიგად შეიქმნა პრინციპი, რომელიც სხვა-და-სხვა გადამდებ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად სხვებისთვის სახელმძღვანელოთ უნდა გამხდარიყო და რომლითაც შემდეგ მხოლოდ დიდებულმა პასტერმა ისარგებლა.

პირველად პასტერმა ქათმის ჭირის, ეგრედ წოდებულის ქათმის ხოლერის საწამლავი შეასუსტა. რომ ავიღოთ ერთი წვეთი ამ ჭირით ავადმყოფ ქათმის სისხლისა და მიკროსკოპით გავსინჯოთ, შიგ მრავალს მიკრობებს დავინახავთ, რომლებსაც ჩხირის მზგავსება აქვთ. აი, ამ მიკრობების შხამიდგან წარმოსდგება ეს სენი. ეს მიკრობები არიან არა მარტო სისხლში, არამედ ქათმის სხეულის ყოველს ნაწილში. საკმარისია მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი შეუშხაპუნოთ სალს ქათამს კან ქვეშ და მაშინვე ავად გახდება და 12 საათის განმავლობაში მოკვდება კიდეც. რადგანაც პასტერმა ამ ჭირის მიკრობის შესუსტება განიზრახა, ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ეს მიკრობები როგორმე სისხლიდგან გამოეყო. მიკრობების გამოცალკევება და გამოყოფა-კი შეიძლება ამ გვარად: ჰიქაში უნდა ჩაასხათ ბულიონი მლაშე და წმინდა ფერისა; საკმარისია ამ ბულიონს ერთი წვეთი ჭირიან ქათმის სისხლი მიუმატოთ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ურიცხვი მიკრობი გამრავლდეს. ამ გვარს ხელოვნურად გამრავლებას მიკრობებისას კულტურას ეძახიან.

ამ გვარი კულტურა-მოშენება სხვა მიკრობებისაც შეგვიძლიან. ბულიონის ერთი წვეთი საკმარისია, რომ ქათამი მოჰკლას. პასტერმა ამ მიკრობების შესუსტება განიძრახა. ამისათვის საჭიროა ბოთლი, რომელშიაც ბულიონია მიკრობებით, რამდენსამე ხანს მშრალს ჰაერზედ იდგეს; საჭიროა ამისათვის ბოთლის თავი ახდილი ჰქონდეს, რომ ჰაერი თავისუფლად ჩადიოდეს. რამდენსამე კვირის შემდეგ ბულიონში მყოფს მიკრობებს იმდენად დააკლდება ძალა, რომ როდესაც ბულიონის რამდენსამე წვეთს ქათამს კანს ქვეშ შეუშხაპუნებთ, ამ შხამს ადვილად გადაიტანს და აღარ მოკვდება; შემდეგ-კი ავადაც აღარ გახდება. ამ გვარად პასტერმა დაგვანახვა, რომ გადამდებ სენის მიკრობების შხამის დასუსტება შესაძლებელია.

ამით სხვა მეცნიერებს მიეცა იმ გვარი სითხის მომზადების საშუალება, რომელიც დასუსტებულს მიკრობებს შეიცავდა, და რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო სხეულში იმმუნიტეტი, ანუ მიუდრეკლობა ხელოვნურად გამოეწვიათ.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ გვარი სითხის მომზადება ძნელია, რადგანაც ისრე დასუსტება მიკრობებისა, რომ ცხოველი არ მოჰკლას, და მასთან მასში იმმუნიტეტი გამოიწვიოს, ძნელია. პროფ. რაევსკის აზრით, ამ გვარი სითხის მომზადებისათვის ციმბირის ჭირის ასაცრელად საჭიროა ორი წელიწადი. საუკეთესო-კი ის სითხეა, რომელიც მომზადებულია არა თვით მიკრობებისაგან არამედ მათ მიერ გამონადებ შხამიდგან—ტოქსინიდგან. ეს მით უკეთესია, რომ შხამი—ტოქსინი—უფრო შეუცვლელი თვისებისაა, ვიდრე თვით მიკრობები და ამასთან უფრო უკეთ შეგვიძლიან გამოვიანგარიშოთ რაოდენობა შესაშხაპუნებელ სითხისა.

ამ გვარად არის მომზადებული ხუნაგის ასაცრელი სითხე. ჩვენ რომ, მაგალითად, ცხენს დავუწყოთ კანს ქვეშ ხუნაგის ბაცილლების ტოქსინის შეშხაპუნება, ისე-კი, რომ პირველად ძლიერ ცოტა შევუშხაპუნოთ და შემდეგ-კი თან-და-თან ვუმატოთ, ვნახავთ, რომ ცხენი (შესაძლოა, სხვა ცხოველიც იყოს) ამ საწამლავს მიეჩვევა და მაშინაც-კი უვნებელი დარჩება, როდესაც მას 300 გრამს ტოქსინს (უამისოდ უთუოდ მომაკვდინებელს) შევაშხაპუნებთ. ეს კიდევ არაფერი! ცხენი არამც თუ უვნებელი რჩება, ამიერიდგან მისი სისხლი იძენს საკვირველს თვისებას: ახლა რომ იმის სისხლიდგან მომზადებული შრატი უკვე ხუნაგით ავადმყოფს ადამიანს შევუშხაპუნოთ, სენიდგან განკურნავს.

ჩვენ ეხლა ვეცდებით გავარჩიოთ და ავხსნათ, თუ რა გვარს ბუნებრივს ძალას წარმოადგენს იმმუნიტეტი. მოვიყვანთ ორს უმთავრესს მოძღვრებას, რომლითაც მეცნიერებაში იმმუნიტეტის ძალას განმარტვენ.

პირველად უნდა მოვიყვანოთ მოძღვრება სახელოვანის ილია მეჩნიკოვისა, რომელსაც დღეს მრავალი თანამოაზრე ჰყავს. მეჩნიკოვის მოძღვრებით იმმუნიტეტი უნდა აიხსნას სისხლის თეთრ გორგოლების განსაკუთარი თვისებით.

როგორც-კი ადამიანის (ან სხვა ცხოველის) სხეულში რომელისამე სენის მიკრობები შედის, მაშინვე მათ აღნიშნული თეთრი გორგოლები დაესევიან და გაანადგურებენ, შესჭამენ. იმმუნიტეტს ვეძახით ჩვენ სხეულის იმ გვარს თვისებას, როდესაც სისხლის თეთრი გორგოლების ნებას გამრავლებისას არ აძლევენ რომელისამე გვარის მიკრობებს

*** ამ უკანასკნელს ხანებში შავი-ზღვის პირად, სოჩსა და ადლერში, გავრცელდა თურმე სახადით ავადმყოფობა. ამის გამო ადგილობრივს მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს 400—500 მანეთის გადადების შესახებ სოფელ ადლერში სახადით ავადმყოფთათვის დროებით ქსენონის დასაარსებლად.

*** რუსეთის საიმპერატორო წყალში განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების ტფილისის ოლქის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მტკვარში შემდეგი ადგილებია საშიშოდ ცნობილი ბანაობის დროს, მარჯვენა ნაპირას: გოლდლიუსტის წუმწუმის ქარხნის ქვემო ადგილი სიგრძით 100 ნაბიჯი, ვერის შესართავთან, ვერის ხიდის ზევით მარცხენა ნაპირას: შერემეტიევის შესახვევის ქვემოდ, დიტრიხის ლუდის ქარხნის ზემოდ, ვეტცელის ლუდის ქარხნის პირდაპირ, სულით ავადმყოფთა შენობის პირდაპირ და წყლის წისქვილებთან.

*** ამ დღეებში ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ განცხადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში, რომ ვერის ხიდთან ტრამვაის ცხენების სიცხე-ქარისაგან დასაფარავად ფარდული იქმნას გაკეთებული.

*** პოლიციის მე-10 ნაწილში, დიდუბის ახლო, მტკვარში საბანაოდ ჩასულა გორის მაზრის სოფ. ღუზიანის მცხოვრები გლეხი მათე ტატოს ძე გუზინაშვილი, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო წყალს ღრმა ადგილში ჩაუთრევია და დაუხრჩვია. დამხრჩვალ გუზინაშვილის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

*** პოლიციის მე-6 ნაწილში, სამღებრო ქუჩის მოსახვევში, თავისს ბინაზედ უნახავთ მოკლული ტფილისის მოქალაქე ტობჩიბაშევი, რომელიც დაჭრილი ყოფილა სამგან: თავსა, გულსა და მუცელში. როგორც მოსამსახურეს განუცხადებია, ტობჩიბაშევი დაუჭრია ვიღაც მედუქნეს, რომელიც კარგი ნაცნობი ყოფილა იმისი. მედუქნის დასაჭერად ყოველივე საშუალებაა მიღებული.

*** კვირას, 17 ივნისს, პოლიციის მეშვიდე ნაწილში ნახეს დამხრჩვალი ვიღაც უცნობი კაცის გვამი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, დამხრჩვალი ტფილისის მცხოვრები აზ. კონსტანტინე ბოიაროვი ყოფილა, რომელიც ვერის ხიდთან საბანაოდ მტკვარში ჩასულიყო და გაუფრთხილებლობით წყალს მოეტაცნა.

*** ტფილისის მცხოვრებს დიმიტრი ივანეს ძე ერმაკოვს პოლიციაში გამოუცხადებია, რომ 14 ივნისს ვიღაც ბოროტგანმზრახველმა მოპარა სამი ხალიჩა და ნივთები სულ 80 მანეთისა. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ ვიღაც ბესარიონ გაბელიაზე.

*** 16 ივნისს ნატანების სადგურში მიახლოვებულ მატარებლიდგან № 412 გადმოვარდნილა მაშინისტის თანაშემწე გალინსკი და დაშავებულა.

*** 17 ივნისს ნაგორნის სადგურიდგან მიმავალი მატარებელი № 22 შუაზედ გაწყვეტილა და ერთი ვაგონი-ცისტერნი დამტვრეულა.

*** 17 ივნისს, აჯიკაბულის სადგურის მახლობლად მატარებლის № 187-ის ერთი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა თურმე.

*** 16 ივნისს, ქარელის სადგურში მიახლოვებული მატარებელი № 164 შუაზედ გამწყდარა და რამდენიმე ვაგონი დამტვრეულა.

*** 16 ივნისს, ყარაბუჯახის სადგურში საქონლის მატარებელი დასჯახებია მგზავრთა მატარებელს და 3 ვაგონი დამტვრეულა.

*** 17 ივნისს, განჯის სადგურის მახლობლად უნახავთ მკვდარის თათრის რუსტამ ოხმედოვის გვამი.

*** 17 ივნისს, ქვალონის სადგურის მახლობლად მატარებელი № 26 დასჯახებია კამეჩსა და ორთქლ-მავალი გაფუჭებულა.

*** 17 ივნისს, ბაქოს სადგურში მატარებელი № 9 დასწევია ლიანდაგზედ მიმავალს ვიღაც კაცს და გვერდი ჩაუმტვრევია. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

*** 17 ივნისს, სუფსის სადგურში მეორე კლასის ვაგონში № 107 თავი ჩამოუხჩვია ერთ მგზავრს, რომელიც შენიშნეს თურმე ნიგოით და ლანჩხუთს შუა და ადგილობრივს პოლიციას გადასცეს.

## წერილი რაჭიდგან

ყველას კარგად მოეხსენება, რომ რაჭის მაზრა მოწყვეტილია საქართველოს ყოველ დაბა-ქალაქს, იგი შემოზღუდულია ირგვლივ კავკასიონის მაღალის მთებით. რაჭაში რა გინდ კარგი მოსავლიანი წელიწადი იყოს, ჭირნახული მაინც ძვირადა ფასობს. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს უპირველეს ყოვლისა გზის უქონლობა და შემდეგ მიწის სივიწროვე. რაჭველი გლეხი ყოველ წლობით უზომო ფულსა ჰხარჯავს ჭირნახულში. რაც ჭირნახულში რაჭიდგან ფული გადის, ის რომ ყოველ წლობით რაჭაშივე ბრუნდებოდეს, მაშინ რაჭას საქართველოს ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრებოდა სიმდიდრით. აქაური ხალხი სანახევროდ გასულია სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქში, ზოგი ვაჭრობს, ზოგი მოსამსახურეობს და ზოგიც მუშაობს. ყველგან მოსამსახურეთ რაჭველს რჩეობენ, იმიტომ რომ იგი მშვიდი და წყნარი ხასიათისაა, მუყაითი და მშრომელი.

წელს რაჭველნი დიდი კმაყოფილნი იყვნენ ბუნებისა, უხვად ელოდნენ ჭირნახულს, მაგრამ 12 ივნისს სულ სხვაფრივ შეიცვალა მათი მოლოდინი. დილის ხუთი საათი იქნებოდა, რომ ცა საშინლად მოიქუშა და კაკლის ოდენა სეტყვა დაუშინა ქვეყანას. საშინელმა სეტყვამ თითქმის ერთი მეოთხედი საათი გასტანა და ჭირნახული დედამიწასთან გაასწორა, დაბერტყა ხეხილი, დახოცა ფრინველი. სეტყვამ გადიღო და რაც იმას გადარჩა, ნიაღვარმა დაამთავრა. მეტის-მეტად დაზარალდნენ შემდეგი სოფლები: ბუგეული, საკეცია, ჯვარისა, ბოსტანა, ღვიარა, სადმელი, ძირაგეული, კვაცხუთი, წესი, ურავი, ლიხეთი, ბარი, შარდომეთი, ჭიბრევი და სხვანი.

13 ივნისს ნაქერალის მთაზედ (ეს მთა საზღვრავს დასავლეთით რაჭასა და იმერეთს) მეტად საზიზღარი მკვლელობები მოხდა. ქ. ქუთაისიდგან მონავალა სოფ. წაიდისში მცხოვრები გლეხი ტ. ენუქიძე, რომელსაც ფული მოჰქონდა თურმე 1030 მ. მუშებისათვის დასარიგებლად. აი რა მიამბეს 13 ივნისს დ. ონში მცხოვრებმა ებრაელებმა. „მთაზედ შეგვხვდა სამი შეიარაღებული კაცი ბერდანის თოფებით. ჩვენ გამარჯობა ვუთხარით, იმათ-კი ხმა არ გაგვცეს. მთის წვერს ვიქნებოდით გადაცილებული, რომ ამ დროს უცბათ გზაზედ გადაგველობა ის სამი კაცი, რომელთაც გამარჯობა ვუთხარით მთის წვერზედ. ყაჩაღებმა მოგვაყვირეს: „ჩქარა ფული!“ მოგვცვივდნენ და რაც გვქონდა წაგვართვეს“. ებრაელების გაძარცვის შემდეგ ამოუვლია ტ. ენუქიძეს, იმისთვისაც შეუძახნიათ ყაჩაღებს: „ჩქარა ფული!“ საწყალ გლეხს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ ამ დროს გავარდნილა რამდენჯერმე თოფი და საწყალი გლეხი თავ-გახვრეტილი ცხენიდგან გადავარდნილა. შემდეგ ყაჩაღებს ფული [illegible] და გაქცეულან. ეს ამბავი [illegible] უტყვიათ, ტყიბულიდგანაც და ნიკორწმინდიდგანაც წასულან პოლიციის დარაჯები იმ ადგილას, სადაც კაცები გაძარცვეს. ღამე ყოფილა, როდესაც იქიდგან და აქედგან მიმავალი დარაჯები შეჰხვედრიან ერთმანეთს, საუბედუროდ, ორივე მხარეს ერთმანეთი ყაჩაღები ჰგონებიათ; აუტეხნიათ საშინელი სროლა და გათავებულა მით, რომ საწყალი ტყიბულის პოლიციის დარაჯი, რაჭველი ი. ვაჩაძე მოუკლავთ. როგორც ამბობენ, ერთი ამ ყაჩაღთაგანი ღორთქიფვანიძე უნდა იყოს.

ვანო ბიჭინაძე

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ამერიკის ჯარის უფროსმა გენერალმა ჩაფფიმ ჩინეთიდგან დაბრუნების შემდეგ თავისს მთავრობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, თუ მოკავშირეთაგან რომლის ჯარი რა მხნეობისა და რა ცოდნის პატრონია. ამის შესახებ „Temps“-ის ლონდონელი კორრესპონდენტი აი, რას იწერება:

„ჩინეთის ექსპედიციის დროს ინგლისელები და ამერიკელები ერთთავად მოკავშირეთა ჯარების მდგომარეობისა, ორგანიზაციისა და წესიერების შესწავლას ცდილობდნენ. ეხლა ჩაფფის მოხსენებასთან ერთად გამოქვეყნებულ იქმნა მოხსენება აგრეთვე რამდენისამე მისის ხელქვეითისა. აი, ერთი, ამერიკელი პოლკოვნიკი, მაგალითად, რას ამბობს ჯარების შესახებ: ნემეცების ჯარის-კაცები მშვენივრად არიან გაწრთვნილნი, ოფიცრები განვითარებულები ჰყავთ. ინგლისელ ჯარის-კაცთა სამხედ-

---

ძალა აქვთ მუდამ გამარჯვებულნი იყვნენ მათზედ. იმ შემთხვევაში-კი, როდესაც თეთრს გორგოლებს ძალა არა აქვთ, ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანის სხეულს არა აქვს იმმუნიტეტი ამა თუ იმ გადამდებ სენის მიკრობების წინააღმდეგო.

ავიღოთ ერთი წვეთი რომელისამე სითხისა, რომელშიაც ბევრია მიკრობები და ცხოველს კანს ქვეშ შევუშხაპუნოთ. არ გავა სულ რამდენიმე წუთი, რომ იმ ადგილს, სადაც მიკრობებია შეშხაპუნებული, სისხლის თეთრი გორგოლები მთავლად შემოიკრიბებიან და დიდს მოძრაობაში არიან.

რამდენადაც უფრო მრავლდება რიცხვი ამ მმოძრავ გორგოლებისა, იმდენად უფრო მცირდება მიკრობთა რიცხვი. მიუახლოვდებიან თუ არა ეს სისხლის მმოძრავი გორგოლები მიკრობებს, გამოუშვებენ ძაფის მზგავსს მრავალს ფეხებს, შემოეხვევიან მიკრობსა და გულში ჩაიხვევენ. ნახევარ საათის შემდეგ მიკრობი უკვე გორგოლის შუაგულშია და იქ სრულებით იღუპება. ამ თეთრის სისხლის გორგოლებს მეჩნიკოვმა უწოდა სახელი „ფაგოციტები“ (მჭამელები) და თვით პროცესს-კი ფაგოციტოზი.

როგორც-კი კანს ქვეშ ამ სითხეს შევუშხაპუნებთ, რომელშიაც მიკრობებია, მაშინვე ახლო-მახლო მყოფი ძარღვები გაგანიერდებიან, ამ ადგილს უფრო მეტი სისხლი მოადგება, ცოტა ხნის შემდეგ გაგანიერებულს ძარღვებში სისხლის მოძრაობა სუსტდება, თეთრი გორგოლები ძარღვების კედლებთან გროვდებიან და სცდილობენ გარეთ გამოვიდნენ; ბოლოს მართლაც გამოდიან და შეესევიან იმ ადგილას, სადაც (ან და თვით არიან შესულნი) მიკრობებია და იმართება ბრძოლა. თუ რომ იმ გვარი ბაქტერიებია, რომლის წინააღმდეგაც სხეულს არა აქვს იმმუნიტეტი, გამარჯვებულნი უფრო ხშირად ბაქტერიები რჩებიან და სწამლავენ სისხლს, რის გამოც წარმოსდგება ესა თუ ის სენი.

ამ გვარი საკვირველი მისწრაფება თეთრი გორგოლებისა მიკრობებისა და სხვა ზოგიერთ ქიმიურ ნივთიერებათადმი შეიძლება მამა-კაცის თესლის სპერმოტოზოიდების დედაკაცის საშვილოსნოში კვერცხისადმი მისწრაფებას შევადაროთ.

როგორც-კი ადამიანის სხეულში რაიმე მავნე და დამაზიანებელი ქიმიური ნივთიერება გაჩნდება, მაშინვე მთელი ჯგუფი თეთრი გორგოლებისა—ფაგოციტებისა მისკენ გაესწრაფება და დაუწყებს განადგურებას; ყველაზედ მეტი გრძნობიერება-კი მიკრობების შხამისა ფაგოციტებსა აქვთ. ყოველი ფაგოციტი, რომელმაც მიკრობი შთანთქა, თვითონ ხდება მსხვერპლად და იღუპება სხეულის სადღეგრძელოთ, ყოველს ფაგოციტს თან მიკრობი მიაქვს, ზოგს მათგანს-კი რამდენიმე ერთად და მიეშურება ლიმფატიურ ორგანოების—ღვიძლისა და ელენთისაკენ და სხვ.

Werigo-მ, მეჩნიკოვის მოწაფემ, აი, რა სცადა: შეუშხაპუნა ცხოველს ბაქტერიები, ზოგს-კი უბრალოდ დანაყილი ნივთიერება, შემდეგ გამოიანგარიშა მიკროსკოპის საშუალებით თეთრი გორგოლების რიცხვი სისხლში და დარწმუნდა, რომ მათმა რიცხვმა უმალვე იკლო; დააკლეს ბაქტერიებს და დანაყილ ნივთიერებას და გაჰქრნენ ძარღვებში მმოძრავ სისხლიდგან.

ამ მოძღვრებას პირველად ძლიერ ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა, არ სჯეროდათ თეთრი გორგოლების—ფაგოციტების ამ გვარი საკვირველი თვისება. მაგრამ რამდენიც უფრო მეტი დრო გადიოდა, რამდენადაც უფრო მატულობდნენ მეცნიერულნი გამოკვლევანი ამ კითხვის შესახებ, იმდენად უფრო მატულობდა ილია მეჩნიკოვის მოძღვრების თანამოაზრეთა რიცხვი. დღეს-კი ამ მოძღვრებას პირველი ადგილი უჭირავს მეცნიერებაში.

არის მეორე მოძღვრებაც, რომელიც იმმუნიტეტს სისხლის განსაკუთრებულ თვისებებითა ჰხსნის: სისხლში არის რაღაც იმ გვარი ნივთიერება, რომელიც ჰკლავს იქ მყოფ მიკრობებს. საზოგადოდ სისხლი, როგორც მეცნიერის Fodor-ის გამოკვლევიდგან სჩანს (1887 წელში), ძლიერ ცუდი ნიადაგი თურმეა ყოველ გვარ მიკრობთა გამრავლებისათვის. რომ ავიღოთ ახლად გამოშვებული სისხლი ადამიანისა, შუშის ჭურჭელში ჩავასხათ და შიგ მიკრობები შევიტანოთ, ვნახავთ, რომ მიკრობები ძლიერად დასუსტდებიან და ვეღარც-კი გამრავლდებიან. მაგრამ სისხლი ამ გვარს თვისებას ადვილადა ჰკარგავს, როგორც-კი 55 გრადუსამდე გავათბობთ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს თვისება, სისხლის გარდა, სხეულის სხვა სითხეთაცა აქვთ: მაგ. რძეს, ნერწყვს, ნაღველას, შარდსა და სხ. ყველა ზემოდ დასახელებულს სითხეში გამრავლება ძლიერ გაუჭირდებათ მიკრობებს. აი, ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენს პირში შეიძლება ოცამდე სხვა-და-სხვა გვარი მავნე მიკრობები აღმოვაჩინოთ, და მათ შორის იქნება ხუნაგისაც, მაგრამ იმდენი ვნება არ შეუძლიანთ. როდესაც მავნე გარემოებათა წყალობით სხეული სუსტდება, მაშინ ეს სითხენიც სუსტის თვისებისანი არიან და ვეღარ უშლიან ხელს მიკრობების გამრავლებას.

მაშასადამე, იმმუნიტეტი ადამიანისა ან სხვა რომელისამე ცხოველისა ამა თუ იმ გადამდებ სენის მიკრობების წინააღმდეგ წარმოსდგება მაშინ, როდესაც სისხლში, რომელიც საზოგადოდ ისეც ცუდი ნიადაგია მიკრობთათვის, არის გახსნილი ისეთი ნივთიერებანი, რომლებსაც მიკრობების მოკვლა შეუძლიანთ.

თუ რომ მართლა იმმუნიტეტი სისხლის თვისებაზეა დამოკიდებული და არა თეთრ გორგოლებზედ—ფაგოციტებზედ, მაშ რატომ არ არის კავშირი იმმუნიტეტისა და სისხლის გამანადგურებელ თვისების შორის: ძაღლსა აქვს იმმუნიტეტი, მაგალითად, ციმბირის ჭირის მიკრობების წინააღმდეგ, სისხლი-კი მისი სრულებით ვერა ჰკლავს ამ მიკრობებს; ვირ-თაგვას დიდი მიდრეკილება აქვს და ძლიერ ადვილადა ხდება ავად ამ სენით და სისხლს-კი დიდი მომწამლავი ძალა აქვს ამ მიკრობების წინააღმდეგ.

აქედგან ნათლადა სჩანს, იმმუნიტეტი და სისხლის გამანადგურებელი ძალა სხვა-და-სხვა რამ არის.

ამ მეორე მოძღვრებას მეცნიერებაში დაერქვა სახელი „ჰუმორალური თეორიისა“, რომლის თანამოაზრეთა რიცხვიც თანდათან კლებულობს და პირველს ემატება. Buchner-მა და მისმა მოწაფეებმა Denys-მა და Hahn-მა, „ჰუმორალური თეორიის“ მოთავეთ, როდესაც ნახეს, რომ გამარჯვება მეჩნიკოვის მოძღვრებასა რჩებოდა, ეს ორი მოძღვრება—ფაგოციტოზი და ჰუმორალური თეორია—რომ როგორმე შეეთანხმებინათ, გამოაცხადეს, რომ სისხლში გახსნილი ნივთიერებანი, რომლების წყალობითაც იმმუნიტეტი წარმოსდგება, თეთრს გორგოლებს—ფაგოციტებს—გამოაქვთო და ამითი სძლევენ მიკრობებსო. ამაზედ მეჩნიკოვმა უპასუხა, რომ სისხლში მაგგვარი ნივთიერებანი არ არისო და არც რამ თეთრს გორგოლებს გამოაქვთ სისხლშიო.

ხოლო რაც შეეხება „შეძენილ“ იმმუნიტეტს რომელისამე გადამდებ სენის მოხდის შემდეგ, მეცნიერებაში ამის შესახებ სხვა-და-სხვა აზრისანი არიან; უმეტესობა-კი ამგვარს იმმუნიტეტს იმითი ჰხსნის, რომ გადამდებ სენის მოხდის შემდეგ სისხლში რაღაც ქიმიური ცვლილება ხდება, რომლის წყალობით იგივე მიკრობები მეორედ ვეღარ მრავლდებიან და შხამი ვეღარ გამოაქვთ.

ექიმი ბადრიძე

რო წესიერებაც ნემცებისაზედ ნაკლები არაფრით არის, მაგრამ განსაკუთრებით ინდოეთის ჯარებს აქებს, რომლებსაც სამაგალითოდ თურმე აქვთ საქმე მოწყობილი. მეორე ჰოლკოვნიკის სიტყვით, იაპონელები დიდი მამულის მოყვარეები თურმე არიან და თუ რომ დღევანდელს შეიარაღებასა და სამხედრო მომზადებას შეინარჩუნებენ, მაშინ იგინი ყველასათვის საშიში და მასთან სახარბიელო მოკავშირენი იქმნებიანო. ერთი ამ მოხსენებათაგანი რუსებს თურმე შეეხება და ამბობს, რომ რუსის ჯარის-კაცები ძლიერ ამტანნი არიან და მცირედით კმაყოფილდებიან. ხსვათა შორის, რუსის ჯარის-კაცებს ერთი ის დიდი ღირსება აქვთ, რომ სურსათს ყველგან ადვილად პოულობენო. ამერიკელების სიტყვით, სამკურნალო საქმე ყველაზედ უკეთ ნემცებსა და იაპონელებს თურმე აქვთ მოწყობილი.

**ინგლისი**. ლონდონიდგან იწერებიან: „როგორც ბრიუსელიდგან იუწყებიან დეპეშით, დევეტის ადიუტანტს სამხრეთ-აფრიკის აწინდელ მდგომარეობის შესახებ კრიუგერისათვის სანუგეშო ცნობები მოუტანია“.

„Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ ბრძოლის ველიდგან, რომ იომანრები ომში სრულიად გამოუსადეგარნი აღმოჩენილან; ბურებთან შეტაკებაში ყველგან დაძლეულნი იქმნენ და ამასთან, რაც-კი რამ იარაღი, ტყვია-წამალი და სამხედრო სამზადისი სჭირია ბურებს, ყველაფერს იომანრებს ართმევენო.

ბრედრიკის მიერ საზოგადოებათა პალატაში გამოქვეყნებულის ცნობებით, კაპის ახალშენში ამ ჟამად 2,000 ბური თურმე იბრძვის და ინგლისელებს ომი ყოველ-კვირა $1^1/_4$ მილიონი გირვანქა სტერლინგი უჯდებათ, ე. ი. თითქმის 12 მილიონი მანეთი.

— ხმელთაშუა ზღვაში მდგომ ბრიტანიის ესკადრის უფროსის თანაშემწის კონტრ-ადმირალის ლორდის ჩარლზ ბერესფორდის მიერ ამ ესკადრის გემების შესახებ გამოქვეყნებულმა წერილმა ყველაზედ დიდი მოქმედება იქონია და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზღვათა მინისტრმა განაცხადა ამ წერილის შესახებ პარლამენტში, რომ გამოქვეყნება მისი არ შეიძლებოდა, რადგანაც იგი არსებულს წესიერებას არღვევს. ეჭვი არ არის, ამის შემდეგ ბერესფორდს სამსახურიდგან გადადგომა მოუხდება. ამბობენ, ბერესფორდმა და სხვა ადმირალებმა არა ერთხელ სცადეს მთავრობის ყურადღება ფლოტის უვარგისობისათვის მიექციათ, მაგრამ რადგანაც სამინისტრო განზრახ ყურს იყრუებდა და ყურადღებას არ აქცევდა, ბერესფორდმა ეს საშუალება-და ამჯობინა, რომ საქმის ნამდვილი გარემოება გამოექვეყნებინაო. ხმა დადის, თუ რომ ბერესფორდი სამსახურს თავს დაანებებს, იგი, როგორც წევრი პარლამენტისა, შემდეგ ყველაფერს პარლამენტში გამოაქვეყნებსო. რადგანაც ინგლისის ფლოტის უვარგისობის შესახებ ადრევაც ხმები დადიოდა და ახლა ამასვე ამტკიცებს ფლოტის ერთი კარგად მცოდნე და გამოცდილი კაცი, ამის გამო ხალხი ძლიერ შეფიქრიანებულია.

— ახალს დამარცხებასა და კაპის ახალშენის აჯანყებულთა მიერ ინგლისელების დამარცხებას ლონდონში იმას ამიზეზებენ, ვითომ თავისუფალი მეომრები და საჭირო იარაღი ბურებს გერმანიის სამფლობელო სამხრეთ-დასავლეთ აფრიკიდგან შეეპარებინოთ. კაპის ახალშენის მცხოვრებთა შორის აჯანყება მხოლოდ ამით აიხსნებაო.

— „Daiy Mail“-ის კორრესპონდენტი იუწყება იოჰანნესბურგიდგან, რომ ამერიკელებს ადგილობრივი ოქროს მადნები მთლად ხელთ ჩაუგდიათ. უმთავრესი ინჟენრები სულ ამერიკელები არიან და ყველა საჭირო მანქანებს ამერიკიდგან იწერენო. რამდენიმე ამერიკული ფირმა ამ ჟამად ოქროს მადნების აქციების შესყიდვას შეუდგა და განზრახვა აქვთ ამხანაგობა ან კავშირი შეადგინონ. ერთი სიტყვით, ამერიკას ახლა ტრანსვაალში ერთობ დიდი საქმეები და მრეწველობა აქვს და, ინგლისელთა სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ინგლისელების მიერ ბურების წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ თუ ვინმე ახეირა, ისევ ამერიკელები და არა ინგლისელებიო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამერიკელთა შორის წლითი-წლობით უფრო ძლიერდება და მტკიცდება ეროვნული თვით-ცნობიერება. თუმცა ამერიკის მცხოვრებთ ყველა ერის წარმომადგენელნი შეადგენენ, მაგრამ ამისდა მიუხედავად, რესპუბლიკის პირველ-ხარისხოვან სახელმწიფოდ გარდაქცევამ ერთის მხრით, და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ მეორის, ხელი შეუწყო ამ თვით-ცნობიერების განმტკიცებას. განსაკუთრებით სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში შეიქმნა თვალ-საჩინო ეს მოვლენა. უკანასკნელ დროს ამერიკელებმა თითქმის სულ განდევნეს ინგლისური რომანები. ამერიკელები ეხლა დიდის გატაცებითა და გულ-დასმით კითხულობენ ისეთს რომანებსა და მოთხრობებს, სადაც ლაპარაკი ამერიკულ ეროვნობაზეა, იმის წარსულისა და მომავალის შესახებ. სწორედ გასაოცარია, რა გასავალი აქვს დღეს იქ ამ გვარ რომანებსა და მოთხრობებს. ერთ გაზეთში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ამის შესახებ. 1898-დგან 1900 წლამდე ვესტკოტის რომანი „დავით გარუმი“ 500,000 ცალი გაყიდულა, ჩერჩილის რომანი — „რიჩარდ კარველი“ 375,000 ცალი და სხვა.

* * *

ბოლგარიის ქალაქ შუმლაში ამას წინად დაიბეჭდა საყურადღებო წიგნი ამ სათაურით „სტატისტიკა ბოლგარულ სკოლებისა ოსმალეთში 1899—1900 სამოსწავლო წელს“. როგორც ამ წიგნიდგანა სჩანს, ბოლგარებს ოსმალეთში ჰქონიათ სულ 949 სკოლა, აქედგან 870 პირველ დაწყებითი სკოლა ყოფილა, ხოლო 79 საკლასო სასწავლებელი. სწავლობდა ამ სკოლებში 47,897 ყმაწვილი, მასწავლებელი 1,481 იყო. ამ რიცხვს უნდა მიემატოს კიდევ კონსტანტინეპოლში არსებული ბოლგართა სასულიერო სემინარია (91 მოსწავლე და 11 მასწავლებელი), ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები სოლუნში (337 მოსწავლე და 23 მასწავლებელი), ადრიანოპოლის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები 177 მოსწავლე და 16 მასწავლებელი), ბიტოლიის ვაჟთა გიმნაზია (212 მოსწავლე და 12 მასწავლებელი), სამკლასიანი საპედაგოგიო სასწავლებელი სკოპში (225 მოსწ. და 11 მასწ.) და სამკლასიანივე საპედაგ. სასწავლებელი სერესში (125 მოსწ. და 11 მასწ.).

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 ივნისი.

**ლეიპციგი**. ბანკირმა კრომანმა თავი მოიკლა.

**პრაგა**. „სოკოლის საზოგადოების“ წევრთა კრების გამო ქალაქი მორთო. ბევრი სტუმარი მოვიდა რუსეთიდგან, გერმანიიდგან, ჩერნოგორიიდგან და ამერიკიდგან; ხალხი აღტაცებით ეგებება ყველას; პარიჟიდგანაც მოვიდა დეპუტაცია; სადგურიდგან დაწყობილი ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი; სახლებზე ჩეხიისა და საფრანგეთის დროშებია ამართული. ქალაქის თავი დეპუტაციას სიტყვით მიეგება. დეპუტაციის მეთაურმა დოსიემ მადლობა გადაუხადა და დაამთავრა ჩეხურის სიტყვებით „სლავა ჩეხა“-თი, რამაც დამსწრენი დიდ აღტაცებაში მოიყვანა. რუსეთიდგან მოსულს სტუმრებსაც ამნაირად მიეგებნენ.

**კონსტანტინეპოლი**. სულთანმა სერბიის ელჩი მიიღო აუდიენციაზედ. როგორც ისმის, სულთანს ელჩისათვის უთქვამს, რომ საზღვარზე მუდამ მოხუდეებს ნაბრძანები აქვთ ერიდნენ ყოველი შეტაკება აიცილონ, ამასთან უთხოვია, რომ სერბიამაც ამისთანავე განკარგულება მოახდინოს. შემდეგ ელჩი სერბიის მიტროპოლიტის ფირმანის დამტკიცების საქმეს შეეხო. სულთანს უთქვამს, რომ ეხლა სამაგისოდ მარჯვე დრო არ არისო.

სულთანმა საბერძნეთის ელჩი მიიღო, სიამოვნება გამოუცხადა იმის გამო, რომ ორივე სახელმწიფოს შუა მშვიდობიანობა და კეთილი განწყობილებაა და ელჩს პირველი ხარისხის ოსმანიეს ორდენი უბოძა.

**სოფია**. კრებამ დაამტკიცა სამხედრო და სახელმწიფო ვალების ბიუჯეტები. როდესაც მინისტრ-პრეზიდენტს შეეკითხნენ, ბიუჯეტში აღმოსავლეთ-რუმელიის ხარკი რადაა შეტანილიო, მინისტრმა უპასუხა: თავისს დროზედ განზრახვა ჰქონდათ ეს ხარკი ბიუჯეტიდგან ამოეშალათ, მაგრამ მისი გადახდა ხელ-შეკრულობითაა დავალებულიო.

**ბერლინი**. 21 ივნისიდგან პრუსსია-ჰესსენის რკინის გზებზე ყველა იმ ბილეთებს, რომლებითაც მგზავრებს წასვლა-მოსვლის უფლება აქვთ, 45 დღის განმავლობაში ექმნებათ ძალა, ბილეთის ფასი კი ჩვეულებრივი დარჩება.

**კაპშტადტი**. 13 ივნისს ასი ბური ვიკტორია-ვესტის სამხრეთით სადგურ ბისსიეპორტს დაეცა, საქონლის საწყობები გაძარცვა და დარაჯები გარეკა. თავს დაეცნენ აგრეთვე რკინის-გზის დარაჯებს გონინესკლოფში.

**მიდლბურგი**. ტარკასტადთან ინგლისელებს ბრძოლა ჰქონდათ ოთხის საათის განმავლობაში ბურების 150 კაცისაგან შემდგარს რაზმთან. ბურები ჩრდილოეთისაკენ განდევნეს.

17 ივნისი.

**ცარიცინი**. სატივეებსა და ხეტყის საწყობებში ცეცხლი მოისპო; ცეცხლი მძვინვარებდა შვიდი ვერსის მანძილზე. დაიწვა მაქსიმოვისა და სლესარევის ხე-ტყის საწყობები. აგრეთვე რამდენიმე ნავი. ამ ნავებისაგან ცეცხლი გაუჩნდა სოფელ ელშანკას, რომელშიაც დაიწვა 300 სახლი; დაიწვა აგრეთვე 28 ვაგონი. დაიღუპა რვა მუშა და ტყის მრეწველი დრუჟინინი; ორი მუშაც დაშავდა; ზარალი ექვს მილიონ მანეთს აღემატება; ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

**პრაგა**. გიმნასტიურ საზოგადოების „სოკოლთა“ საჯარო ვარჯიშობა მოხდა. საფრანგეთის წარმომადგენელიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ვარჯიშობაში; ხალხი აღტაცებით მიეგება მათ.

**ლონდონი**. კიტჩინერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „13 ივნისს ბურები თავს დაესხნენ დარაჯთ პრუსგრუიტთან დელაგოას გზაზე; ამ დროს მოვიდა სამხედრო მატარებელი და ბურები განდევნა; ოთხი მოკლული ბური ბრძოლის ველზე დარჩა. ოცი თან წაიდეს ბურებმა; ინგლისელებმა ხელთ იგდეს 28 ცხენი და რამდენიმე ურემი. ინგლისელებს ოთხი კაცი მსუბუქად დაუჭრეს. ფელდკორნეტი დეპრიე ოცდა ოთხის ბურით დაჭმორჩილდა ინგლისელებს პიტერსბურგში“.

**ცეტინიე**. ამბობენ, მაჭმადიანნი თავს დაესხნენ ქრისტიანეთ გუსინიას მიდამოებშიო; შვიდი ქრისტიანი მოუკლავთ და რამდენიმე დაუჭრიათ. ქრისტიანენი შიშმა მოიცვა.

18 ივნისი.

**პეტერბურგი**. 17 ივნისს პეტერგოფის დიდ სასახლის ეკკლესიაში მოხდა ნათლობა მაღალ ახლად დაბადებულის დიდის მთავრინის ანასტასია ნიკოლოზის ასულისა. ამ დღეს პეტერგოფი და პეტერბურგი ბაირაღებით იყო მორთული, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

პეტერგოფის სასახლეში გამართულ საგვარეულო სადილის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა გადასცა დიდ ჰერცოგ მეკლენბურგ-შვერინს წმ. ანდრია პირველ წოდებულის ორდენის ნიშნები.

**იოკაგამა**. სეულის გაზეთების აქაური კორრესპოდენტები იმ აზრისა არიან, რომ არეულობანი ფრანგმა მისსიონერებმა და იმათმა მომხრე ქრისტიანებმა გამოიწვიესო ახალ არეულობებს მოელიან.

**ვაშინგტონი**. როკკილი დეპეშით იუწყება, რომ პრინცი სუნი, რომელიც გერმანიაში გასაგზავნ მისიას მეთაურობს დაბრუნებისას ამერიკაზედ გამოივლისო.

**შანხაი** მარკიზმა ძენგმა სიანფუდგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: ქვრივმა დედოფალმა გამოუცხადა დიდ საბჭოს, რომ პეკინის ნაცვლად ჩინეთის სატახტო ქალაქად კაიფონგფუ იქმნებაო, რომელიც ჩენანის პროვინციაშია; პეკინში იმპერატრიცას არ უნდა დაბრუნება, რადგანაც ეშინიან რამე მიზეზის გამო ტყვედ არ მოვყვეო.

**პრაგა**. დილით სოკოლები ქალაქის რატუშისაკენ წავიდნენ. ქალაქის თავმა ქალაქის სახელით მადლობა გარდაუხადა მათ და სთქვა, ვისურვებ, რომ გიმნასტთა იდეალები, ე. ი. თანასწორობა, ძმობა და თანხმობა, მთელის ჩეხიის მცხოვრებთა იდეალებად გადაქცეულიყოსო. შემდეგ რატუშაში გამართულ იქმნა საუზმე, რომლის დროსაც ქალაქის თავმა მიჰმართა სიტყვით სტუმრებს, რომელთა წარმომადგენლნიც თავიანთ თანაგრძნობას უცხადებდნენ პრაგასა და ჩეხიის ხალხს. შემდეგ გიმნასტიური ვარჯიშობანი მოხდა; უფრო მოეწონა ხალხს პოლონელი და ფრანგი გიმნასტიკოსნი.

**ბერლინი** ავტომობილით მოსიარულეთა პატივსაცემად გუშინ გამართულ ნადიმზედ ვაჭრობის მინისტრმა მელლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა მუხლები საფრანგეთ-გერმანიის ხელშეკრულებისა სახელმწიფოების დამოკიდებულებათა შესახებ და სთქვა, რომ საფრანგეთსა და გერმანიას მრეწველობის ნიადაგზედ სამტროქო არა აქვთ რაო. მრეწველობის საქმეში პოლიტიკა საფრანგეთისა და გერმანიისა ერთნაირიაო.

**ჰააგა**. აქ შესდგა ნიდერლანდიელთა საზოგადოება საერთაშორისო კავშირისა სამედიატორო სასამართლოს პროპოგანდისთვის. ვილიამ სტედმა წინადადება შეიტანა მშვიდობიანობის მომხრეთა საერთო ორგანიზაციის შედგენის შესახებ სამედიატორო სასამართლოს საქმის დასაარსებლად. განსაკუთრებით საპოროთ, პროტესტი იქმნას გამოცხადებული ტრანსვაალისადმი ინგლისის დამოკიდებულებათა წინააღმდეგ; ეხლა ამისათვის მოხერხებული დრო დადგაო.

**პრაგა**. დღესასწაულმა საგანგებოდ ჩაიარა; დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ რუსს და ფრანგ სტუმრებს; ხალხმა მოისურვა ეტლებიდგან ცხენების გამოშვება, მაგრამ პოლიციამ ნება არ მისცა. შეიკრიბა 10,000 სოკოლი, მათ შორის პირველად 1000 ქალი. პოლონელ სოკოლთა რიცხვი 240 იყო. საჯარო ვარჯიშობაში 6000 კაცამდე იღებდა მონაწილეობას. ამინდი სამაგალითო იდგა.

## წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით როგორც პირადად ჩემგან, აგრეთვე საჩხერის სამკითხველოს დამაარსებელ წევრთაგან უღრმესი მადლობა გამოუცხადო ქ-ბს თალიკო სიმონის ასულს მაჰავარიანისას, ფალავანდიშვილის ასულს, რომელმაც მის მიერ გამართულს საღამოზედ 6 აპრილს თავისს სტუმართა შორის 42 მანეთი და ექვსპაური შეჰკრიბა ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ.

დამფუძნებელი წევრი და გამგე სამკითხველოსა კნეინა ნინო წერეთლისა


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ 23 ამ ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ხელახლა მოკირწყვლის საქმე კახეთის გზა-ტკეცილისა და ლაზარევის ქუჩისა, სულ 1100 ოთხ-კ. საჟენისა; სამუშაო 2750 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 22 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა დაგეგმა და მოკირწყვლა გზისა პეტრე-პავლეს ხიდიდგან საქალაქო გადამდებ ხენით ავადმყოფთა ბარაკებამდე; სამუშაო სულ 210 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 22 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა მართლმადიდებელთა კუკიის სასაფლაოსაკენ მიმავალ გზის მოკირწყვლა ანტონის ქუჩის კუთხიდგან დაწყობილი იაროსლავის ვიწრო ქუჩამდე, 1240 ოთხ-კ. საჟენი. სამუშაო 4900 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დვორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე